



ჟურნალის რედაქცია ამ რუბრიკით აგრძელებს სალექციო კურსის, მეთოდური საკითხების შესახებ სტატიების სისტემატურ გამოქვეყნებას თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე, რომელიც გარკვეულ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ყველა დონის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების ფართო წრეს.

**წარმოების ეფექტიანობა. წარმოების
ხარჯები და მათი შემცირების გზები***

რევაზ შენგელია

ელ, სტუ სრული პროფესორი, ჟურნალ “
ეკონომიკის” მთ. რედაქტორი

ქუჩუნა წიკლაური

ელ, სტუ სრული პროფესორი

ნათია შენგელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ეკონომიკაში, სტუ პროფესორი

წარმოების ეფექტიანობა. ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს: მომგებიანობა, საერთო და ფაქტორული ეფექტიანობა და სხვ. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

მოგება, როგორც ითქვამს, ეს არის სხვაობა ფირმის მთლიან შე-

*დასაწყისი ის: ჟურნალი „ეკონომიკა“, № -5-6, 2013 წ.

მოსაველებსა და მთლიან ხარჯებს შორის. **არსებობს მოგების მიღების ორი ძირითადი გზა:** ა) ფასების უცვლელობის პირობებში ხარჯების შემცირება (ეს გზა მიზანშეწონილია კონკურენციულ გარემოში. ამგვარ გარემოში ეკონომიკა ეფექტიანია, რადგანაც საწარმოები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხარჯების შემცირებაში); ბ) ხარჯების უცვლელობის პირობებში ფასების ზრდა (ამ გზით მოგების მიღება გამართლებულია, როცა საწარმო მონოპოლიურ მდგომარეობაშია. ამ დროს ეკონომიკა არაეფექტიანია, ვინაიდან საწარმოები არ ცდილობენ ხარჯების შემცირებას). ნულოვანი მოგების ან ზარალის შემთხვევაში, ფირმას არ გააჩნია განვითარების წყარო და შეიძლება გაკოტრდეს.

თუმცა, საწარმოს მხოლოდ მომგებიანობა არ იძლევა მისი ეფექტიანობის შესახებ სრულ წარმოდგენას. ვინაიდან, შეიძლება ერთი ფირმა მეორეზე მომგებიანი იყოს, მაგრამ ეს მოგება მან მიიღოს უფრო მეტი დანახარჯების ფასად, ვიდრე მეორემ (რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის უპირატესობას უსვამს ხაზს).

მაგალითად, A საწარმოს მოგება შეადგენს 3 000 ლარს, ხოლო B საწარმოს – 5 000 ლარს. მაგრამ A საწარმომ ეს მოგება მიიღო 2 000 ლარის დანახარჯის შედეგად, ხოლო B საწარმომ – 4 500 ლარის დანახარჯით. აქედან გამომდინარე, A საწარმო უფრო ეფექტიანია ვიდრე B, ვინაიდან:

$$\frac{3000}{2000} > \frac{5000}{4500}$$

წარმოების ეფექტიანობის გაანგარიშებისას შედეგი უფარდება მის მიღებაზე გაწეულ ერთი ან ყველა ფაქტორის ხარჯს. ეკონომიკური ეფექტიანობა არის არსებული რესურსებიდან მაქსიმალურად შესაძლებელი დოვლათის მიღება. ამისათვის კი აუცილებელია მუდმივად შეუდარდეს შედეგი და ხარჯები, ანუ მეურნეობა წარიმართოს რაციონალურად, რათა რესურსების მიწიმიგებით მიღწეული იქნას შედეგების მაქსიმიზაცია.

განასხვავებენ საწარმოს ფაქტორულ და საერთო ეფექტიანობას. ფაქტორული ეფექტიანობის გამოთვლისას, როგორც ითქვამს,

წარმოების შედეგს უფარდებენ წარმოების ერთ რომელიმე ფაქტორს (შრომას, კაპიტალს, ნელლეულს).

წარმოების შედეგი
(პროდუქტის ღირებულება)

შრომის უკუგება, მწარმოებლურობა = $\frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{მომუშავე მუშაკთა რაოდენობა}}$

წარმოების შედეგი
(პროდუქტის ღირებულება)

კაპიტალუკუგება = $\frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{ძირითადი კაპიტალის ღირებულება}}$

წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)

მასალუკუგება = $\frac{\text{წარმოების შედეგი (პროდუქტის ღირებულება)}}{\text{მასალების ხარჯი}}$

შრომის მწარმოებლურობის შებრუნებული სიდიდეა **შრომატევადობა**, კაპიტალუკუგების შებრუნებული სიდიდეა **კაპიტალტევადობა**, ხოლო მასალუკუგების შებრუნებული სიდიდეა **მასალატევადობა**. წარმოების საერთო ეფექტიანობის მახასიათებელია რენტაბელობა.

რენტაბელობა = $\frac{\text{მოგება}}{\text{წარმოების ხარჯები}} \times 100$

ან რენტაბელობა = $\frac{\text{მოგება}}{\text{ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ღირებულება}} \times 100$

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არის ღირებულებითი მაჩვენებელი, ანუ იზომება ფულში. თუ მათ გავზომავთ ფიზიკურ მაჩვენებელში, მაშინ ისინი უფრო სწორად იწოდება ფიზიკური მაჩვენებლები.

ბლებში, მაშინ ეს იქნება არა ეკონომიკური, არამედ ტექნოლოგიური ეფექტიანობის მაჩვენებლები, რომელიც განყენებულია რესურსების ღირებულებისაგან. მაგალითად, ტექნოლოგიური ეფექტიანობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მხოლოდ ახალი მოწყობილობა, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობის თანახმად შეიძლება გამოყენებული იქნას ძველიც, რომელიც მართალია ნაკლებმწარმოებლურია, მაგრამ არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს შესყიდვაზე.

მომხმარებელი დოვლათის შეძენისა და მოხმარების ეფექტიანობის გაანგარიშებისას გამოდის მათი ალტერნატიული ღირებულებიდან, ანუ იმ დოვლათის ღირებულებიდან, რომელზედაც მას უწევს უარის თქმა სასურველის მისაღებად. გასაგებია, რომ განსხვავებული მომხმარებლისათვის ეს ალტერნატიული ღირებულება განსხვავებულია, რამეთუ მათი გემოვნება ერთმანეთისგან განსხვავებულია. თუმცა, დოვლათის უმრავლესობაზე არსებობს საზოგადოებაში საერთოდ აღიარებული, დადგენილი ალტერნატიული ღირებულება.

წარმოების ხარჯები და მათი შემცირების გზები. ფირმები დღე-ნიადაგ ბრუნავენ ხარჯების შემცირებაზე, რადგანაც მასში ჩადებული თითოეული ლარი ამცირებს მოგებას. წარმოების ხარჯების ანალიზისას გამოყოფენ ხარჯების შემდეგ ეკონომიკურ ელემენტებს: ნედლეული და ძირითადი მასალები; ნაყიდი მანქანები, აღჭურვილი ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები; დამხმარე მასალები; სათბობი და ენერგია; ხელფასი; ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია; სხვა ფულადი ხარჯები.

ხარჯების ცალკეული სახეობების ღირებულების თანაფარდობა მთლიან ხარჯებთან გვიჩვენებს თვითღირებულების სტრუქტურას, რაც დარგების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ასე მაგალითად, მომპოვებელ დარგებში მაღალია ხელფასის ხვედრითი წილი, ეს მაშინ, როდესაც მსუბუქ და კვების მრეწველობაში ნედლეულისა და მასალების ხარჯი შეადგენს დანახარჯთა საერთო ჯამის 80-90%-ს, ელექტროსადგური კი მაღალი კაპიტალ-ტევადობით გამოირჩევა.

ფორმის მომგებიანობის გარკვევისათვის საჭიროა პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გაანგარიშება, რასაც კალკულაცია ეწოდება. როგორც ითქვა, საწარმო, რომელიც მოგების მიღებას ესწრაფვის, დღენიადაგ ხარჯების შემცირებაზე ფიქრში უნდა იყოს, ვინაიდან მარალიანი საწარმოების მხარდაჭერა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამონაკლისია და არა წესი, რასაც სოციალიზმის დროს ჰქონდა ადგილი.

სამზგასამელია, რომ ხშირად ხარჯების ეკონომია თავად მოითხოვს გარკვეული შრომის, კაპიტალის და ფინანსურ ხარჯებს. ამიტომ დანახარჯები ხარჯების ეკონომიისათვის მაშინ არის გამართლებული, როცა ეკონომიის ეფექტი ბევრად სჭარბობს მის მიღებაზე გაწეულ ხარჯებს. სხვაგვარად, არც ღამაგებითი ხარჯები და არც ეკონომია თვითმიზანი არ არის. ისინი ეკონომიკურად მაშინ არიან გამართლებულნი, როდესაც მრდიან მოგებას.

საწარმომ ხარჯების შემცირების მიზნით მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი ისეთი თანაფარდობით უნდა შეარჩიოს, რომ **ჯერ ერთი**, არცერთი ფაქტორი არ მოცდეს, და **მეორე**, საჭირო რაოდენობის პროდუქცია წარმოებული იქნას მინიმალური დანახარჯებით. თუ ბაზარზე შრომა უფრო იაფია ვიდრე კაპიტალი, მაშინ მეწარმემ წარმოებაში დიდი რაოდენობით შრომა უნდა შეიყვანოს; თუ საქონელზე მოთხოვნა დაეცა, ხოლო მის წარმოებისათვის საჭირო რესურსებზე ფასები გაიზარდა, მაშინ ღამაგებითი პროდუქციის წარმოებას სჯობია რესურსების გაყიდვა; თუ მოსალოდნელია ნელდელეულზე ფასების მრდა, მაშინ ხელსაყრელია დიდი მარაგების გაკეთება; საწარმოში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა მაღალკვალიფიციური მუშაკის დაქირავებას მოითხოვს, რაც, შესაბამისად, მრდის მასზე მოთხოვნას და მის დაქირავეებაზე ხარჯებს. მოკლედ, მეწარმემ, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ფაქტორების იმდაგვარი კომბინაცია უნდა მოახდინოს, რომ რესურსების მინიმალური დანახარჯებით მიიღოს პროდუქციის წინასწარ განსაზღვრული მოცულობა.